ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.04.2015

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 007/15

შეკითხვა:

ადვოკატი „ბ“ მუშაობს საადვოკატო ბიუროში, რომელმაც უარი განუცხადა კლიენტ „გ“-ს საადვოკატო მომსახურებაზე, რომლის ინტერესებიც მოცემულ საქმეზე უკავშირდებოდა ყოფილი კლიენტ „ა“-ს საქმეს. ექნება თუ არა ადგილი ინტერესთა კონფლიქტს ან ინტერესთა კონფლიქტის შექმნის საფრთხეს, იმ შემთხვევაში, თუ საადვოკატო ბიუროში მომუშავე სხვა ადვოკატი - „ც“ გაუწევს იურიდიულ მომსახურებას კლიენტ „გ“-ს.

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მესამე ნაწილი: „ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფირმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე“.

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი „ბ“ და ადვოკატი „ც“ მუშაობენ ერთ საადვოკატო ბიუროში. შეკითხვაში აღნიშნულ კლიენტებს შორის სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი, ვინაიდან მათი საქმე ერთმანეთს უკავშირდება. განსახილველ შემთხვევაში, „ა“ წარმოადგენდა საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატის კლიენტს. შესაბამისად, კლიენტ „ა“-ს მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დაცვა საადვოკატო ბიუროს ადვოკატის მიერ, წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მესამე ნაწილის დარღვევას.

დასკვნა:

ადვოკატ „ც“-ს მიერ კლიენტ „გ“-სათვის იურიდიული კონსულტაციის გაწევის შემთხვევაში სახეზე იქნება ინტერესთა კონფლიქტი.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში, როგორც ერთ-ერთ წყარო.